საჯარო სამართლის იურიდიული პირის
საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის
დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030168763753019

№ 12-83/ო **25 / ივლისი / 2019 წ.**

სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სისტემური და ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 24 ივლისის N01-237/ო ბრძანების მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ივნისის N01-50/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სისტემური და ეფექტური მმართველობის, ფუნქციონალური მოქნილობის ამაღლებისა და სამინისტროს სისტემაში მიმდინარე პროცესებზე შესაბამისი სამსახურების ოპერატიული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში გამოცხადდეს რეორგანიზაცია, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს შტატების შემცირება და სტრუქტურული ცვლილებები.

2. დაევალოს ადმინისტრაციული დეპარტამენტს :

ა) ამ ბრძანების ცენტრის თანამშრომლებისთვის გაცნობა და საჯაროდ გამოცხადება;

ბ) ცენტრის თითოეული შტატით განსაზღვრული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის გაფრთხილება კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად, მათი შესაძლო გათავისუფლების შესახებ;

გ) ამ ბრძანების საჯარო გამოცხადების მიზნით, ცენტის თანამშრომელთათვის თვალსაჩინო ადგილზე ღიად განთავსება;

დ) რეორგანიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად სხვა საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ავთანდილ თალაკვაძე